

პოლიტიკა

"აქრადიომო: ქბანაი, მრანაი, იდლიაზი შედეგები"

პარლამენტი საკუთარი დეპუტატებისთვის ეთიკის კოდექსის მიღებას აპირებს. მთავარი მოთხოვნა კი ამომრჩეველის წინაშე ანგარიშვალდებულების აღიარება იქნება.

A2

აქრონია

ვინ გაიტყუა "ისტორიულ ვალბას"?

წინა მოწვევის პარლამენტის მიერ აღიარებული საშინაო ვალი, რომლის გადახდის ვალდებულებაც ახალ მთავრობაზე, ხელისუფლების სათავეში მოსვლის პარალელურად, ავტომატურად გადავიდა, თითქმის უცვლელია.

A4

უცხოეთი

ახალი კონსტიტუცია ევროკავშირის აპრიკის შეერთებულ შტატებთან არ აქცევს



ევროკავშირის ერთობლივ კონსტიტუციაზე ხელის მოწერის ცერემონიაში ამა წლის 20 ნოემბერს რომში ჩატარდება.

A5

სამართალი

რას ნიშნავს კოკოიტი ანაზა კათილი ნება?



საქართველოს ძალადგანი უწყებები უშიშროების სამინისტროს საბი თანამშრომლის გასათავისუფლებლად სპეცოპერაციის ჩატარებას გეგმავენ. თუმცა, რადიკალური ზომების მიღება საჭირო აღარ გახდა.

A7

ანიონი

5/7 6/7

Table with weather forecasts for various cities: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, თელავი, ზაზდინი, გორი, ახმეტა, ჭიათურა.

Table with subscription rates: აბმ დოლარი 1.9200, ევრო 2.3325, გირვანქა სტერლ. 3.4938, რუბლი 0.0661.

შოთა რუსთაველის ფრესკა დააზიანდა

A3



ასე გამოიყურებოდა რუსთაველის ფრესკა (მარცხენი) და ასეთ დღეში ჩააგდეს იგი ვანდალებმა (მარჯვნივ).

საქართველო გამოდის რუსეთის საზღვრის საზღვარიდან

რუსეთთან ნიკარაგა

მოსკოვის სამიტზე საქართველო-რუსეთის შორის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებში მიღწეულ შეთანხმებებს რუსი ექსპერტები პუტინ-საკაშვილის დიალოგის ეფექტურობით ხსნიან. პოლიტოლოგ სერგეი კორტუნიკის აზრით, "პუტინმა სააკაშვილამდე მიიტანა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების თხოვნა, შექმნილი რეალობიდან გამოდინარე, არ აძილონ კრემლი რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის დაჩქარება."

ბაზრადება A3 გავრცელება

შეუთავსებალი ალბორითები

ნიკა იხანიანი

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა. მისი პირველი მონაწილეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტში ძალიან უცნაურ საინფორმაციო ფონზე წარმოადგინა.

პირველად, მთელი ამ წლების განმავლობაში, რუსული მედია თითქმის არ ეხმარებოდა დსთ-ს მეთაურთა სამიტს, რაც ძალიან საეჭო და დასაფიქრებელი მოკლეა.

ბაზრადება A3 გავრცელება

ხელოვანი და მინისტრი ბიზნესმენი შეარება

მინისა და მინერალური წყლების კომპანია ქართული კულტურა სკანდალს აცვიდა

საქართველოს სახელმწიფოს კულტურული იმიჯი გასულ კვირას ინტრიგებისა თუ, უბრალოდ, გაუგებრობების გამო, სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. ხელოვნების რიგით მესამე საერთაშორისო ფესტივალ "ხელოვნების ზეიმს", რომელიც, ტრადიციულად, ბორჯომის ხეობაში იმართება და საქართველოში კამერული მუსიკის მსოფლიო კორიფეებს იკრებს, მოულოდნელად ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, თუ მისი უქონლობა, ამჯერად ბიზნესმენის კერძო ინიციატივამ გადაარჩინა. საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, რომელიც ისედაც უწყვედა ფესტივალს გენერალურ სპონსორობას, თითქმის, გააორმაგა საკუთარი დანახარჯი და "ხელოვნების ზეიმს" იმ აუცილებელი თანხით უზრუნველყო, რომელზეც მას კულტურის სამინისტრომ უთხრა უარი. "ხელოვნების ზეიმს" აღარაფერი ემუქრება. იგი რამდენიმე დღეში, 8 ივლისს საზეიმოდ კვლავ ბორჯომის ხეობაში, კომპოზიტორთა სახლის დარბაზში გაიხსნება.

მადი სარბრიაკოვა

ბორჯომის ფესტივალს უკვე სამწლიანი ისტორია აქვს და ამ პერიოდში უკვე გამოიკვეთა ის პრიორიტეტები და მიღწევები, რომელიც თანამედროვე ქართულ კულტურაში ფესტივალის მნიშვნელობას განსაზღვრავს. თავისი მასშტაბითა და ღირსებით ეს ფესტივალი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენს საკმაოდ გაუფასურებ-

ულ და კომერციალიზებულ კულტურულ ცხოვრებაში: "ეს არის ფესტივალი ხალხისთვის, - აღნიშნავდა ფესტივალის სულისჩამდგმელი, გამოჩენილი მევიოლინე ლიანა ისაკაძე, - სწორედ ამიტომ ტარდება იგი ბორჯომში და არა თბილისში, სწორედ ამიტომ არის ბილეთების ფასი ასეთი იაფი - 10 ლარი, რომ უზრავლო ხალხისთვის იყოს ხელმისაწვდომი; ამიტომ გვინდოდა თავიდანვე, რომ ფესტივალი ყოფილიყო სახელმწიფო და არა - კერძო; იმიტ-

ომ, რომ ბიზნესი და ნამდვილი ხელოვნება ერთად არ არსებობს...

საბედნიეროდ, ლიანა ისაკაძე მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა მართალი. მიუხედავად იმისა, რომ "ხელოვნების ზეიმის" ბიუჯეტი ისე იყო გათვლილი, რომ მისი დიდი წილი სახელმწიფოს უნდა დაეფინანსებინა (100 ათასი), ხოლო დანარჩენი სპონსორს "მინისა და მინერალური წყლების კომპანიას,"

ბაზრადება B3 გავრცელება

Advertisement for 24hours.ge website, mentioning various services and contact information.

Advertisement for 24hours.ge website, featuring the logo and contact details.

ბრიტანელი და ქართველი სამხედროები ავღანურ სცენარს ვაჟიანში ანაზავებენ



ბრიტანელი სამხედროები საქართველოში 16 ივლისამდე დარჩებიან და შემდეგ ავღანეთში გაემგზავებიან.

გუბნი ვაჟიანის სამხედრო პოლიგონზე ერთობლივი ბრიტანულ-ქართული სწავლების გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე და დღი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დონალდ მაკლარენი. სამხედრო სწავლების პირობითი სახელწოდებაა "საქართველო-ეკსპრეს-2004". მასში ჩართულია ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ორი ასეთული (164 სამხედრო მისიამხალურე), კომანდოს ბატალიონის ერთი ასეთული, პლუს გენშტაბის 20 ოფიცერი და ვერტმფრენების ესკადრონი.

სწავლება 16 ივლისამდე გაგრძელდება. მისი პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის პატრულობა, განაღობა, ჩასაფრება და სხვა. სწავლება ნატოს სტანდარტების შესაბამისად ტარდება და მისი მიზანია სამშვიდობო ოპერაციების დროს კოორდინირებული ქმედებების დახვეწა. ერთობლივი წვლილის დასრულების შემდეგ, ბრიტანელები სამხედრო მისიით, პირდაპირ ავღანეთში მიემგზავებიან. ამიტომ, ალბათ, ლოგოკურია, რომ ერთობლივი სწავლების ჩასატარებლად ინგლისელებმა არჩვევანი საქართველოზე შეანერგა - როგორც ირკვევა, წინფრთხილის ისინი ეძებდნენ მითან ტერიტორიას, რომლის ლანდშაფტიც ავღანურთან მიახლოებულ იქნებოდა.

გიორგი ბარამიძე არ გამოირცხავს, რომ ქართველი სამხედრო მოსამხახურეები ბრიტანელებს უკან მიჰყვენენ. ყოველ შემთხვევაში, როგორც მინისტრი აცხადებს, ქართველი ცისფერჩაფუტეებების ავღანეთში გაგზავნის საკითხი ქვეყნის ხელმძღვანელების დონეზე უკვე გადაწყვეტილია.

თუ იქნება შესაბამისი ეკვიპრება და ტრანსპორტირების ხარჯები დაიფარება, ავღანეთში ერთი ასეთლის გაგზავნა შეუძლებელია, რომელიც იქ თავის ნეოლს შეიტანს არჩევნების შემდგომიანად ჩატარების საქმეში. საბოლოო გადაწყვეტილება ნატოს ხელმძღვანელებმა მიიღებს. ასე რომ, საქართველო აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის რესურსებს მხოლოდ მოიხმარს, - აცხადებს ბარამიძე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი კმაყოფილია, რომ იმ დანხარებას, რომელსაც ამერიკელები ჩვენს ქვეყანას სამხედრო სფეროში უწევენ, თანდათან სხვა სახელმწიფოებიც უერთდებიან. ძალიანვე უწყების ხელმძღვანელების თქმით, "საქართველო-ეკსპრეს-2004"-ის მსგავსი ღონისძიებები (ოღონდ, განსხვავებულ ფორმატში) თურქეთთან და გერმანიასთან ერთადაც ჩატარდება. გარდა ამისა, მინისტრის განცხადებით, ფრანგებთან მხარე-მხართი მომზადების საკითხებში ჩართვის სურვილი უკვე გამოთქვა.

გიორგი ასანუშვილი

სტიქიისგან დაჯარალბულ მოსახლეობას უხსნიდნენ დაუარიბდა

კახეთში სტიქიისგან მიყენებული ზარალის რაოდენობა ჯერ კიდევ დაუდგენელია. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, რეგიონმა წყალდიდობის შედეგად ათი მილიონი ლარიანი იზარალა. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ხელისუფლებას ჯერჯერობით კომპენსაციის სახით არანაირი დახმარება არ გაუღია. რეგიონის ხელმძღვანელებმა გურჯაანელებს მხოლოდ კომპანია "პროგრემისგან" ნაწილობრივ მტკიარი წყალი "ვაკურიანი" დაურთა, რასაც რაიონში მიოქმამათიქმა მოჰყვა. საწლი წყაროს ინფორმაციით კი, აღნიშნული წყალი მას შემდეგ ჩაუტანეს კახელებს, როცა იგი კომანდოს ბატალიონმა ხანისისი და სტანდარტების შესაბამისი გამო დაიწუნა.

ამჯერად სამხარეო ადმინისტრაციამ დაზარალებული მოსახლეობისთვის კიდევ ერთი აქცია მოაწყო. კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა გურჯაანის რაიონში კოტქის უბნის მოსახლეობას სასუქი გაუწვინა: **"სასუქის შექნა რწმუნებული ფონდიდან გამოყოფილი თანხებით მობრუნდა და 1200 ოჯახს დაეხმარება"**, - განაცხადა ცისკარიშვილმა. უნდა აღინიშნოს, რომ წყალდიდობამდე კახეთის ზარალი ძლიერმა ყინვებმა მოაყენა, რის გამოც რეგიონი ხეხილის გარეშე დარჩა. პეტრე ცისკარიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნული ზარალის დადგენას სამთავრობო კომისია ახმრმოებს, რადგან ეს საკითხი ცენტრალური ბიუჯეტის დონეზე გადასაწყვეტი: **"ვუბრნიის სახსრების აღნიშნული პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, რადგან ვერც ამის ფული არ გაგვანება"**, - ამბობს ცისკარიშვილი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გლეხებისთვის დამამიდებელ პასუხს ვერც სოფლის მუშურების მინისტრი დავით შურაშიძე იძლევა: **"ამ საკითხთან დაკავშირებ ინტენსიური მუშაობა გრძელდება. ერთადერთი, რომ იმდენიც ჩვენ გვაქვს, დროირ ორგანიზაციების დახმარება"**, - აცხადებს მინისტრი და იქვე ამბობს, რომ ამ დროისთვის ძირითადი აქცენტები წყალდიდობის შედეგად დაზიანებული საგზაო მაგისტრალის შეკეთებაზეა გადატანილი.

ესტეტიკებით გურჯაანელების მსგავსად, ყვარლის რაიონსაც გაუხსნიდა. სულ კი რეგიონში სამხარეო ადმინისტრაციამ სამოქმედო გეგმა დაამუშავა. როგორც ცისკარიშვილი განმარტავს, ანალოგიური აქცია ამ მოკლე ხანში კიდევ იგეგმება.

24 საათი

"ამცხაარა" ბარი აიხას მკვლავლებამ აძინებას კლანს ადანაშაულებს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცხაარა" თავისი ერთ-ერთი ლიდერის, აფხაზეთის გმირის, გარი აიბას მკვლელობაში აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკის პრეზიდენტის ცლადისლავ არძინიას კლანს ადანაშაულებს.

"ამცხაარას" პოლიტსაბჭოს წევრები პრეზიდენტ არძინიას ლიდა მას შემდეგ დაუპირისპირდნენ და აიბას მკვლელობაში დასდეს ბრალი, როცა მათთვის ცხადი გახდა, რომ არძინიას მთავრობის სამართალდამცავი ორგანოები უ ივნისს, სოხუმში საკუთარი სახლიდან მოკლული "ამცხაარას" აღმასრულებელი მდივნის გარი აიბას მკვლელობის საქმის გამოძიებას არ აპირებდნენ. "ამცხაარას" პოლიტსაბჭოს წევრის განცხადებით, რომელიც ვინაობის დასახელებისაგან თავის შეკავებას ამჯობინებს, გარი აიბას მკვლელობა მას შემდეგ განხორციელდა, რაც პრეტექტულად, გადაწყვეტილი იყო აფხაზეთში შეიღვამისათვის დანიშნული სამხრეთდონტო არჩევნებზე "ამცხაარას" მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად ახალგაზრდა, ენერჯული, მოსახლეობაში საკმარის ავტორიტეტის მქონე, აფხაზეთის გმირის გარი აიბას დასახელება". იმავე წყაროს მტკიცებით, აიბას მკვლელობა იმ დასაბუთების განხორციელებას, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ აიბას გაპრეზიდენტების შემთხვევაში იგი არძინიას კლანს აფხაზეთის უკონტროლო უკანონოდ მითვისებულ ძირებს ჩამოართობდა და მათ გაელენას მნიშვნელოვან შეაქცირებდა. "ამცხაარას" ლიდერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსკოვისა და თბილისისგან თანაბრად დისტანცირებული გარი აიბას მკვლელობა აფხაზეთში მოქმედი იმ პოლიტიკური ძალების განხორციელებას, რომლებიც აფხაზეთის რეალური დემოკრატების მიღწევით არ არიან დაინტერესებულნი და რუსეთის სექსამსახურებიდან იმართებიან.

ინტერ-პრესი

"აკრძალულია: კბანაი, ღრენაი, ილლიეაბი ზელუტუნაბაი"

ვინაზათი ოდესმე დებუტატო, დაპირებების შეუსრულებლობის გამო, საკუთარი ამომრჩევლის წინაშე ბოდიშს რომ იხდოდეს? იცნობთ თუ არა ისეთ პარლამენტარს, რომელსაც საკუთარი ინიციატივით, თქვენთვის, რიგითი ამომრჩევლისთვის, საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩაებარებინოს? ალბათ, არა. მათ ამისთვის არ უცდიათ. ისინი სერიოზულ პოლიტიკურ პროცესებში იყვნენ ჩართულნი. ასე რომ, გული არ უნდა ვტკნობდით, თუკი ჩვენი რჩეულები ხანდახან გვიეჩყებდნენ. ან ღიზიანდებოდნენ, როცა დაუკითხვად კარს მიეუკაყუნებდით ხოლმე. ახლა, ალბათ, ყველაფერი შეიცვლება - პარლამენტი საკუთარი დებუტატებისთვის ერთი კოდექსის მიღებას აპირებს. მთავარი მოთხოვნა კი ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების აღიარება იქნება.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დებუტატსა და ამომრჩევლის შორის ურთიერთობა დღეიდან აუცილებლად გამოსწორდება. უბრალოდ, დღეს ამ ნაბიჯის გადადგმა პარლამენტისთვის სასურველი და აუცილებელი აღმოჩნდა, რადგან, როგორც გავიკვა, ეთიკის კოდექსის მიღების ვალდებულება ჯერ კიდევ წინა მონვევის პარლამენტს აუღია. მეორეც - საქმიად ბერეცილიზებული ქვეყნის უმალესი საკანონმდებლო ორგანოები საკუთარ თავს საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. ჩვენ კი, როგორც ტექნიკურად დასავლური ტიპის სახელმწიფო, მათ ნამდვილად არ უნდა ჩამოვრჩეთ. მოკლედ, მომავალ კვირას ქართველი პარლამენტარები საზოგადოების და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი ამომრჩევლების წინაშე იმ ძირითადი ეთიკური ნორმების პრეზენტაციას მოაწვდომენ, რომლითაც, წესით და კანონით, ნებისმიერი გადნაყვეტილების მიღების დროს უნდა იხელმძღვანელო.

სავარაუდოდ, ეს დოკუმენტი დეკლარაციული ტიპის იქნება და მასში ისეთი არაფერი მოხდება, რომელიც ამომრჩევლის გაცეხას ან პროტესტს გამოიწვევს. პირველი "მოთელითი" სამუშაოები არი ღლის წინ, ვუდებური დანიყო. თუმცა იქ გამართული სემინარზე თავიდან ფრაქციების წარმომადგენლებმა პარლამენტართა ქვეყნის ისეთ "ეთიკურ ხარვეზებზე" ისაუბრეს, როგორცაა, ვთქვათ, სხდომების დროს საღებო რეზინის ლეფვა, დარბაზში ღამის "შლოპანეცხი" და წარწერისანი სპორტული მისურები უტყვლა, სხდომის მიმდინარეობის დროს ტყა-ნა (ამ ჩამონათვალის გაგრძელება უნდა შეიძლება: ფურის დასტის ანეღლა, ძილი და ხერხევა, მობოლური ტელეფონებით საუბარი, არაკორექტული გამოხსვლები, ერთმანეთის პირში თუ ზურგს უკან ლანდავ და ერთმანეთზე ყრბების გავრცელება, ინტრიგების ხლართვა, ბოლის და ბოლის, შუტბო-შოკი - ყველაფერი ფორტირებას თუ ვიდოკატიტებზე შემოიხსული).

თუმცა, თუკი რომელიმე დებუტატს ასეთი ქმედებების მიმართ განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს, ამ ტიპის პარლამენტის შემოღება შედეგს ნაკლებად მოიტანს. მით უფრო, რომ ინტრიგების მოყვარულ "შლოპანეცხით" მოსირაფო დებუტატს ყოველ წუთს ვერ გააკონტროლებ და არაინ იცის, ხალხის ასეთი რჩეული კიდევ რამ მოიმოქმედებს პარლამენტის შენობის გარეეთ. ერთი კახური ანეკდოტის არ იყოს, ასეთ დებუტატს მხოლოდ პატარა ტრანსპარანტს ან ლოზუნგს თუ აშუქებ წარწერით - "პარლამენტის შენობაზე თუ მის გარეთ კატეგორიულად აკრძალულია: კეჩხაი, ტრენია, ილიტობის შეღებულება..."

სერიოზულად თუ ვილაპარაკებთ, პარლამენტარის ქვეყნის ეთიკური ნორმის შემუშავების პრიონტი სულ სხვა რამებს უნდა ეფუძნებოდეს - უფრო კონკრეტულად კი, საჯარო ცხოვრების იმ სტანდარტებს, რომელსაც კარგა ხანია, ცივილიზებული მსოფლიო მისდევს.

ყოველ შემთხვევაში, ამ სემინარის ორგანიზატორები - არასამთავრობო ორგანიზაციის "საერთაშორისო გაჭვირვალეობა საქართველო" - წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ დღეს საზოგადოება, უკვე მიღწეული წარმატებების შემდეგ, უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, მის ხელსუფლებას და მეტი იმდით შეპყრუებს მომავალს. ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისა და უკეთესი მომავლის იმედის ხელახლა გაჩენის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ამ ნდობის შენარჩუნება შეძლოს... საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც საჯარო დისკუსიებისა და საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების საფუძველზე პარლამენტი როლი უნდა შეასრულოს კორუფციის აღმოფხვრებაში, პრივილეგია-საკუთარი თვისადმი მაღალი ემსახურების დაწესებით უნდა დადინოს. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის მიღება, რომელმაც დებუტატისთვის განმკველვების, ხოლო ამომრჩევლებისათვის მათი ქმედებების შეფასების ფუნქცია უნდა შეასრულოს. ეთიკის კოდექსით კიდევ ერთხელ ხდება იმ ძირითადი პრინციპების ხაზგასმია, რომლებიც საფუძველად უნდა ედოს თითოეული დებუტატის საქმიანობას: საზოგადოებრივი ინტერესების გახმარება, მათი საქმიანობის გამჭვირვალეობა, კორუფციული გადნაყვეტილების შეზღუდვა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დაცვის მყარი პრეცედენტის შექმნა.

ეთიკის მომავალი კოდექსი მთლიანად რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს დაფუძნდება: **ერთუფლება** (საჯარო პირებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. მათ არ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთივეს, საკუთარი ოჯახების ან მათივე მეგობრების ფინანსური ან სხვა მატერიალური მოგების მიზლის მიხედვით); **პატიოსნება** (საჯარო თანამდებობის პირები არ უნდა გახდნენ ფინანსურად ან სხვაგვარად ვალდებული გარე პირთა ან ორგანიზაციათა წინაშე, რომლებმაც შეიძლება გაელენა იქონიონ მათ მიერ თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებაზე); **იმიტიტურობა** (თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საჯარო თანამდებობებზე დანიშნების, ხელშეკრულებული ქმედებებისთვის და უნდა მისცენ საზოგადოებას მათ საქმიანობაზე თვალყურის დევნების შესაძლებლობა); **სავარრობა** (თანამდებობის პირთა დადნეყვეტილებები და ქმედებები უნდა იყოს იმდენად საჯარო, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მათ უნდა დასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები და დამალონ ინფორმაცია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად); **გულწრფელობა** (საჯარო თანამდებობის პირებმა უნდა განაცხადონ მათ თანამდებობრივ მოვალეობებთან დაკავშირებული ნებისმიერი კერძო ინტერესის შესახებ და წარმოქმნილი კონფლიქტი გადაჭრან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით).

დაბოლოს: ამ სემინარზე არაფერი თქმულა პარლამენტსა და მედიას შორის ურთიერთობებზე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეთიკის კოდექსზე მომუშავე პარლამენტართა ნაწილი უფრანლისტებს აშკარად არ წყნალობს. თანაც, სანამ ეთიკის კოდექსი მიღებული არ არის, მათ ჯერ კიდევ აქვთ დრო, საკუთარი ანტიპათია დაუფრადება გამოხატონ. მაგალითად, დებუტატებმა მედიის წარმომადგენლების თბილისში გამომგზავრება ხმამაღლა, ყოველგვარი მორდების და ტაქტის გარეშე აღნიშნეს - "ჟურნალისტები მიდიან? აუ, რა კარგია!"

თამარ მჭედლოშვილი

საკადრო ცვლილება

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კახეთის რეგიონის ძალიან უწყებებში საკადრო ცვლილებები გრძელდება. თანამდებობების გადანაწილება მონაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კახეთის განყოფილებაშიც მიმდინარეობს. ამ დროისთვის პოლიციის უფროსები გურჯაანში, სიღნაღში, ლგოვანში და საგარეჯოს რიონებში შეიცვლნენ. პოლიციის მსგავსად საკადრო რეგულიცია რეგიონის საოლქო და რაიონულ პროკურატურებშიც განხორციელდა. როგორც ოლქის პროკურორმა თამაზ ცაბუტაშვილმა განაცხადა, ამ დროისთვის რაიონებში უწყებების პროფესიონალი კადრებით კომპლექტდება. საკადრო წმენდა კი ძირითადად ამბეჭებს და ლიკვირებს შეუბო. საოლქო პროკურატურაში კი რეგიონის პროკურორის თანამშენველ კონსტანტინე მარტყუელი დაინიშნა. თამაზ ცაბუტაშვილის თქმით, ამ დროისთვის დღის წესრიგში გურჯაანის პროკურორის რევაზ ჩივაიშვილის გათავისუფლების საკითხიც დგას: **"კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ყველაზე მძიმე მტვიანრობება გურჯაანში და არ გამორიცხავთ, რომ ამის გამო თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგას"**, - აცხადებს კახეთის სამხარეო ოლქის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი.

24 საათი

სარჩილი სახელმწიფოს წინააღმდეგ

კობა დავითაშვილი და "კმარა" კლდიაშვილის და მებნრიშვილს უჩივიან



კობა დავითაშვილი და თეა თუთბერიძე დარბეულთა ადვოკატობას აპირებენ.

კობა დავითაშვილი, ახალგაზრდულ მოძრაობა "კმარასთან" ერთად, თბილისის მერიის შენობის წინ პირველ ივლისს სააქციო საზოგადოება "თბილტრანსის" მძღოლებისა და მიწისძვით დაზარალებული მოსახლეობის საპროტესტო აქციის დარბევის ფაქტს აპროტესტებს და ბრძანების გამცემლებისა და მისი აღმსრულებლების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.

თხოუმენტლიანი ხელშეკრულების თანახმად, "თბილტრანსის" მძღოლებზე სახელმწიფოს საცხოვრებელი კომპლექსი უნდა უზრუნველყო, მაგრამ დღემდე მხოლოდ 120-მა ოჯახმა მიიღო ფულადი კომპენსაცია, 381 ოჯახი კი ისევ უზინაბოა დაარჩენილი. ხელშეკრულება მომავალ წელს სრულდება, თუმცა ქალაქის წლევადელ ბიუჯეტში ამისთვის თანხები ვერ გამოიხანა.

"შე და ვმარას" აქტივისტი თეა თუთბერიძე ადვოკატება დაფუძნებთ დაზარალებულთა და მოციხვის მის თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სპეციალურ-მშენებლის რაზმის ხელმძღვანელის თბილტრანსის პასუხისმგებლობა მიეცვას. გარდა ამისა, არა მგინია, დარბევის ბრძანების გამცემი ირაკლი კლდიაშვილი იმსახურებდეს იმას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყოს," - განაცხადა კობა დავითაშვილმა.

პარლამენტარმა განსაკუთრებულ აღფრთხილებას ინევიც კლდიაშვილის შეფასება აქციის დარბევათან დაკავშირებით. **"არა მგინია, ხელისუფლებას ხელს აძლევდეს ადამიანის უფრო, რომელიც ასეთი დარბევის შემდეგ აცხადებს, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდა. და თუ აწყობს, მაშინ ეს სხვა შეფასებების საგანია,"** - აცხადებს გლდანის მაჟორიტარი.

ამასთან, როგორც იმავე პრესკონფერენციაზე "კმარას" აქტივისტმა თეა თუთბერიძემ განმარტა, ერთი სარჩელი ქალაქის პროკურატურაში შევა, რომლის მოთხოვნაც იქნება: სისხლის სამართლის საქმე აღიძრას აქციის დარბევის ბრძანების გამცემისა და მისი შემსრულებლების წინააღმდეგ, მეორე კი იქნება სამოქალაქო სარჩელი - დაზარალებულებისთვის ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

კობა დავითაშვილის განცხადებით, ორივე სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ შედის.

"თუკი სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშუქობ, ნამდვილად ვერ ვხედავ იმ ხალხის ადვოკატ ხელისუფლებაში, რომლებსაც კანონიერი და უკანონო მოქმედება ერთმანეთისაგან ვერ ვამარჯვებია," - ადანაშაულებდა თუთბერიძე კლდიაშვილსა და მებნრიშვილს.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ პრესკონფერენციისაგან დაუკონტროლებელი ერთი ფაქტი - დებუტატი კობა დავითაშვილი პარლამენტის აპარატის უფროსს გორა მარტინენკოს დებუტატების უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხელის შეშლაში ადანაშაულებს.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული პრესკონფერენციის ჩატარებისთვის მას პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზის კართ არავე გაუვლო და დებუტატებსა და უფრანლისტებს შორის საუბარი პარლამენტის კუბოში შედგა.

მართალია, დავითაშვილი მარტინენკოს მიზილებული ტელეფონით დაუკავშირდა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ დასველების დღეების გამო პარლამენტის საუბარნიზაციო დეპარტამენტი არ მოქმედებს და, შესაბამისად, დარბაზს ვერ გაუტანს.

"და თუ ხელისუფლებას ხელს, რომ ოპოზიციის ქუჩისკენ უზიძვოს, იგი მიიღებს ქუჩის აქციებს," - აღნიშნა დავითაშვილმა.

ნინო გომართელი

თბილისის ზღვაზე ბანონა შეიძლება

თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი საზნაოდ კუს ტინსა და თბილისის ზღვის ჰლაყებს გვირჩევს

თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ თბილისის ზღვის, კუს ტინის, მდინარე ვერეს და ლისის ტინის წყლის სასეიფიური გამოკვლევა ჩატარა. **"თბილისის მოსახლეობა სარეკონიოდ, ძირითადად, ამ ობიექტებს იყენებს. ამიტომ, შემოსნდა, რამდენად დამაკმაყოფილებელია მათი წყლის ხარისხი. აღმოჩნდა, რომ თბილისის ზღვა ნორმატივ მიდგომარეობაშია, იმის მიუხედავად, რომ ხელეწიფურად დაზიანებული კომუნიკორიად ფაქტურ მასების ჩანდნება ხდებაო"**. ზღვის ის ნაწილი, სადაც პლაყები, აშემადა საზნაოდ გამოსადგვია. აბსოლუტურად ნორმატიულია კუს ტბა, მაგრამ ჩვენ სისტემატურად ვაპირებთ ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევების ჩატარებას", - აცხადებს დავით მესხიშვილი.

ლისის ტბა წელს არ გაიხსნება, რადგან მისი დაშრობისა და ქაბობა გადაქცევის საშიშროება არსებობს. ამყამად მისი ხელეწიფური კვება ხდება. დანყოფ ადვოკატობრივი ქაბუროლიანად ლისის ტბის კვება გვირგვინური წყლებითაც. სანიტარიული ზედამხედველობის უფროსი სასტიკად კრძალავს მდინარე ვერეს წყლის გამოყენებასაც, რადგან წყნთვის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიერ თვითნებურად დაზიანებული ტრადებმა წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. ზედამხედველობის მიზნით, სასმელი წყლის სინჯების ყოველდღიური გამოკვლევის ანარმოებს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის წყლის კონტროლის საბოლოოტორია. ინსპექციის ინფორმაციით, წყალსადენის სიაბო ნაკვეთებზე წყლის დამუშავების სანიტარიული და ტექნიკური პირობები დაცულია და სასმელი წყლის ხარისხი შეესაბამება ჰიგიენურ ნორმებს. მიუხედავად ამისა, დავით მესხიშვილი თბილისის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც წყალს გრაფიკით იღებს, ურჩევს, რომ, ყოველი შემთხვევისთვის, წყალი მოსვლიდან 15 წუთი გადინარე იყოს.

თამარ ჯგანძინი

შეღობა და იხატონა

რამდენიმე დღეა, გურისის მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა სასამართლო აღმასრულებლებისა და შს სამხარეო სამმართველოს თანამშრომლების მონაწილეობით, გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს შეჩვილებისპირების ზღისის (ურეკი, შუკვეთილი, გრიგოლეთი) განაშენიანებაში არსებული უკანონოების აღსაკვეთად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ზღვის ახლო ზოლში, სადაც, ფაქტობრივად, ჩაიკტილი იყო პლაყე განასახლებული. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე ადებულია ერთი უკანონოდ დაწყებული მშენებლობა და ასევე ფუნქონოდ აგებული კაფე-ბარი, რომლებიც ბარიერად იყო აღმართული პლაყზე ტრადიციულ მისახლეობად, მხარის ხელისუფლება აცხადებს, რომ ახალგოფური აქციები პერმანენტულად გაგრძელდება სრული წესრიგის დამყარებამდე.

ცხადია, ზღვის სანაპირო არ არის ვისიმე სამმართველო, სადაც პატრონის დაუკონტროლებად ქიანჭველაც კი ვერ შეტოვდება. თუმცა ამ ორი დღის წინანდელი ფაქტი მითითებს, რომ ამ თვალსაზრისით გარკვეული არასასამართლო რეცი

ვინ გაისტუმრებს "ისტორიულ ვალს"?

საშინაო ვალის გასტუმრების ვადები უცნობია, მოცულობა - ზრდადი

წინა მოწვევის პარლამენტის მიერ აღიარებული საშინაო ვალი, რომლის გადახდის ვალდებულება ახალ მთავრობაზე, ხელისუფლების სთავაზურ მოსვლის პარალელურად, ავტომატურად გადავიდა, თითქმის უცვლელია. "24 საათი" წლის დასაწყისში იუწყებოდა სახელმწიფო ვალის მოცულობის შესახებ. ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წლის პირველი იანვრისთვის საშინაო ვალი მილიარდ 567 მილიონ 900 ათას ლარს შეადგენდა. ექვსი თვის შემდეგ, "24 საათი" ისევ დაინტერესდა, შეიცვალა თუ არა ამ მიმართულებით რაიმე. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მანველებზე თითქმის იგივეა, რაც წლის დასაწყისში.

სოფიკო ოხანაშვილი

პირველი იანვრის მდგომარეობით, საშინაო ვალის მოცულობა მიმდინარე წლის პირველ იანვარს დაფიქსირებული 1 მილიარდ 567 მილიონ 900 ათასი ლარიდან 1 მილიარდ 588 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ზრდა სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების მოცულობის ხარჯზე მოხდა. ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელ პირთა განმარტებით, ამჟამად არსებული ოფიციალური რიცხვი დღემდე დაუზუსტებელია და მისი შეცვლა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი, რასაც იმით ხსნიან, რომ ოფიციალურად აღიარებული საშინაო ვალის 14 კატეგორიდან ექვსის შემთხვევაში ვალის მოცულობა სახელმწიფოსთვის ზუსტად არ არის ცნობილი და ამიტომ, საორიენტაციოდ ახლ მოახლოებით არის გამოანგარიშებული. არსებული დავალიანებიდან ყველაზე მეტი ანაბრებზე და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხებზე მოხდა. რასაც სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებები მოჰყვება.

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ვალის აღიარებიდან დღემდე ამ ვალის დასა-

ფარად, პრაქტიკულად, არანაირი ქმედებით ღონისძიება არ გატარებულა. სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილებები იყო მიღებული მენაბრებთან და ობლიგაციონერებთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს უკვე არ არსებობს მოქმედი ნორმატიული აქტი, თუ რა მექანიზმებით უნდა მოხდეს მოსახლეობის მიერ 90-იან წლებში სახელმწიფო და კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების კომპენსაცია. ოდესღაც შემუშავებული ინდექსაციის მექანიზმი ჯერ კიდევ ექსპერიმენტულად შევარდნადის დროს მისივე ბრძანებულებით გაუქმდა. მას შემდეგ, მენაბრების საკითხი ნორმატიულად დაურეგულირებელია. კიდევ ერთი საკითხი, რაც მენაბრების მიმართ არსებულ დავალიანებას ეხება - 2001 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ამ კატეგორიის დავალიანების დაბრუნების მექანიზმის შესაშუშავებლად და ამ ვალის შესასაღებად სამთავრობო კომისია შეიქმნა. კომისია, რომელიც მოქმედი ხელმძღვანელი პირებით დაკომპლექტდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც არავის გაუშუქებია ახლ, ფორმალურად, არსებობს კომისია, რომელიც რეალურად არაფერს აკეთებს. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, მათ საქმის კურსში ჩააყენეს პრემიერ-მინისტრის აპარატი. თუმცა, ამ მიმართულებით კანცელრიაში მიმდინარე პროცესები სამინისტროსთვის უცნობია.

ამჟამად, მენაბრების მიმართ არსებული დავალიანება საორიენტაციო თანხით 500 მილიონ ლარითაა განსაზღვრული, რაზეც სამთავრობო კომისია ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შეუდგა. თუმცა, გეგმა და 1999 წელს დაინიშნა კიდევ მენაბრებისათვის ვალის დაბრუნების პროცესი შეაჩერა. ეს პროცესი დღემდე შეჩერებულია.

რაც შეეხება ობლიგაციონერთა მიმართ არსებული დავალიანებას, ანაბრებისგან განსხვავებით, ამ სეგმენტში ნორმატიული ბაზა არსებობს, თუმცა, პრობლემა ამ სხვაგვარია: ფორმალურად არსებული მექანიზმები რეალურად არ მოქმედებენ. შიდა ვალის შესახებ კანონი გარკვევით სერია, რომ საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანებები დაფარვა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 717 ბრძანებულების შესაბამისად, რომელსაც დართული აქვს მოგებაზე დროლი ობლიგაციების განაღდების ცხრილიც. (შეგახსენებთ, რომ, სახელმწიფოს ორი ტიპის ობლიგაციონერთა მიმართ აქვს დავალიანება: საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება და ყოფილი სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უზრუნველყოფის მიზნობრივი ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება. პირველ შემთხვევაში დავალიანება სულ 130 ათასი ლარია. მეორე შემთხვევაში კი დავალიანება შვიდი მილიონ 800 ათასი ლარი შეადგენს.)

თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, როცა არსებობს, მაგალითად, ე.წ. "თბილტ-

რანსისა" და კოპერატიული ბინათმშენებლებისთვის ვალის გასტუმრების გარკვეული მექანიზმი, დღემდე მეგალიტა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დაკმაყოფილდა. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ქალაქის მერიამ ამ კატეგორიის მეგალებს ჯამში მილიონ 268 ათასი ლარი გამოუყო. მექანიზმების უმოქმედობის მთავარ მიზეზად ფინანსების დეფიციტი სახელდება. ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წლის ბიუჯეტის პროექტით შიდა ვალის დასაფარად 89 მილიონ ლარია გათვალისწინებული, რაც ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირების განცხადებით, მთლიანად წარმოქმნილი სახაზინო ვალდებულებების და ეროვნული ბანკიდან აღებული სესხის დაფარვას მოხმარდება.

წლის დასაწყისის არსებულ მონაცემებთან შედარებით, საშინაო ვალის მიმართულებით მდგომარეობა თითქმის უცვლელია. ექვსი თვის განმავლობაში ცვლილება მხოლოდ სამ კატეგორიაში - კოპერატიული ბინათმშენებლების, მუნიციპალური სანარბო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღვანელების ბინებით დაუფარვით დაუფარვით წარმოქმნილი დავალიანებებისა და სახაზინო ვალდებულებების კატეგორიაში განხორციელდა.

ტენდენციები საშინაო ვალის დაბრუნების საკითხში, უკვე რამდენიმე წელია, უცვლელია. ოფიციალური პირების არაუშუქვტი კი ასეთია: ქვეყანა, რომლის ძირითადი საზრუნველი მიმდინარე დავალიანებების გასტუმრებაა, უახლოესი წლების განმავლობაში მინც, ისტორიული ვალების გასტუმრების უფლებას თავს ვერ მიცემს. ხელისუფლების ოპტიმიზმის მიუხედავად, ექსპერტებსაც და ჩინოვიტებსაც ისტორიული ვალის გადახდის კონკრეტულ ვადებზე საუბარი უჭირთ.

იხალისი ეკონომიკის მინისტრი გადადგა



ტრემონტის გადადგომამ იხალისის პოლიტიკურ წრეებში შოკი გამოიწვია.

სამთავრობო კოალიციის პარტნიორებთან დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, იხალისი ეკონომიკის მინისტრი ჯულიო ტრემონტი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. ეკონომიკის მინისტრობის მოვალეობას დროებით იხალისის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი შეასრულებს.

ალანინიზაცია, რომ იხალისის ეკონომიკის მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა ერთ ფრთხვად მნიშვნელოვან ფაქტორად რამდენიმე დღით ადრე მოხდა. ტრემონტის გადადგომა ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრამდე, სადაც იხალისის მზარდი ბიუჯეტის დეფიციტი უნდა განხილულიყო, სულ რაღაც, სამი დღით ადრე მოხდა.

ბუნებრივია, რომ ტრემონტის გადადგომამ იხალისის პოლიტიკურ წრეებში შოკი გამოიწვია, თან, ისეთ სიტუაციაში, როცა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მთავრობის კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას. როგორც რომში აცხადებენ, ბერლუსკონის წინ მიმე ამოცანა დაგას - მმართველი კოალიციის დაშლა შეეცაოს.

ჯან ფრანკო ფინში, იხალისის ვიცე-პრემიერმა და სილვიო ბერლუსკონის მთავარმა მოკავშირემ სამთა-

ვრობო კოალიციაში, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის უსუსურობაზე თავისი შეხედულება მკვეთრად გამოხატა. იგი მოითხოვს, რომ მისი შეხედულებები გათვალისწინებული იქნას გვეგმის მიღების დროს, რომლის საშუალებითაც იტალია თავისი მზარდი ბიუჯეტის დეფიციტის მკაცრი კონტროლში მოქცევას აპირებს.

მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით შაბათს დანიშნული მთავრობის სხდომა გადაიდო. სხდომაზე გადამწყვეტილება უნდა მიეღო სახელმწიფო ხარჯების 5,5 მილიარდი ევროთი შემცირების თაობაზე, რაც, უნდა აღინიშნოს, მინც არ არის საკმარისი, რათა ევროკავშირის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.

ოფიციალური ბროუსელი მიჩნევენ, რომ იტალიამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რათა ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანად შიდა პროდუქტიდან სამ პროცენტზე დაბალანდეს.

სსფ-ს "მოქრძალეზული" მისია საქართველოში

ის დრო, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს ხელისუფლება "მონიტორ" ქმნიდა და თავად ფონდიც წარმატებით ირგებდა ამ ინიციატივას, როგორც ჩანს, ისტორიას ჩაბარდა. გასულ კვირას საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ეკონომიკური კრემერის ვიზიტმა ცხადყო, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და სსფ-ს შორის დღეს თვისობრივად ახალი ურთიერთობები და, სანამ ეს ურთიერთობები ისევ და ისევ საქართველოს ხელისუფლების წყალობით "გაფუჭებულია", "მონიტორ" დაჭერა და გამოყენება უნდა.

თქვა ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში სავალდებულო სისტემის ლიბერალიზაციის ნინააღდგევი არ იქნება, თუ განაკვეთების შემცირებით ბიუჯეტის დეფიციტი არ გაიზარდება.

"სავალდებულო რეფორმამ, პირველ რიგში, უნდა შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება გადასახადებისადმი. ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლები გადასახადების აკრეფის ხარჯზე უნდა გაიზარდოს. თუკი ამისთვის საჭიროა გადასახადების განაკვეთების შემცირება, და, შემორჩება, თუმცა, განაკვეთები იმდენად არ უნდა შეიკვეთოს, რომ ქვეყნის ბიუჯეტმა ამის გამო დეფიციტი განიცადოს", - განაცხადა კრემერსმა. მეორე მხრივ, მისი თქმით, თუ მთავრობა დროულად ვერ გაისტუმრებს საბიუჯეტო ხარჯებს და მოსახლეობას ხელფასებსა და პენსიებს ვერ დაურიგებს, სავალდებულო ვერაფერი გადინდება.

სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი არც პრივატიზაციის ნინააღდგევი, თუმცა აცხადებს, რომ ამ მიმართულებით მთავრობას ვადებების დახვეწა და კონკრეტოზაცია მოუწევს.

"პრივატიზაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს გამჭვირვალად და კარგად ორგანიზებულად უნდა განხორციელდეს", - განაცხადა კრემერსმა. და ბოლოს, ვიზიტის დასასრულს საერთაშორისო სავალუტო ფონდის

წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს სავალდებულო სისტემის ლიბერალიზაციის ნინააღდგევი არ იქნება, თუ განაკვეთების შემცირებით ბიუჯეტის დეფიციტი არ გაიზარდება.

კრემერის თქმით, საქართველოს სავალუტო ვალი მდგრადი არ არის, ამიტომ აუცილებელია მისი რესტრუქტურირება. "საქართველოს ყველა კრედიტორი მზად არის, ვალის რესტრუქტურირების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებები გამართოს", - განაცხადა კრემერსმა.

მისი თქმით, რესტრუქტურირაციის შედეგად სავალუტო ვალი მართვადი გახდება და საჭირო იქნება მონიტორინგი, რათა ვალი აღარ გაიზარდოს. "მონიტორინგს ითვალისწინებს სავალუტო ფონდის პროგრამა, რომელიც დირექტორთა საბჭომ ერთი თვის წინ აღადგინა", - განაცხადა კრემერსმა.

შეგახსენებთ, რომ "პარიზის კლუბში" საქართველოს ვალის რესტრუქტურირების თაობაზე მოლაპარაკებები 16 ივლისს უნდა დაიწყო. მოლაპარაკებების შედეგად გათვალისწინებული ვალის გადაგდება. გადაგდებას პირობები მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება.

"პარიზის კლუბის" ფარგლებში ვალის რესტრუქტურირების არ ექვემდებარება თურქმენეთის ვალი, რომელიც 300 მილიონ დოლარს აღემატება.

"ს/ს თელსის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილი კურსი სარეგისტრაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერჯის მინორება დროებით შეწყვეტილია:

6 ივლისს, 10.00-დან 18.00-ს-მდე:
ექსპერიმენტის, კისისხვევის, მიხვილ მესხის, მუშათა, ნოსტეს, ქებურას, უიარაღოს, ურიდნის, ნალვერის, წრომის ქუჩების მაცხოვრებლებს.

6 ივლისს, 10.00-დან 15.00-ს-მდე:
გურამიშვილის გამზირის(წაწილობრივი), ცოტნე დადიანის(წაწილობრივი), ჭყონდადელის, ბეჟანიშვილის, არალეთის, ახალდაბის, ზელოთის, ჩაქვის, ჩარტლის, დვირის, ედისის, გოგაშენის, იფნის, ყველაურის, კვერნაურის, ლიხეის, მოლითის, გვანიის, ჭოპორტის, ზვარეთის, ბაგენეთის, ნათაძის, წინამურის, ავთანდილ ლომბერძინის, თორნიკე ერისთავის, გვაზაურის ქუჩების მაცხოვრებლებს.

მოკლად

აჭარაში სატყეორობებისა და ტურისტული კომპლექსების პრივატიზაცია იწყება

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე 5 ივლისს ბათუმში მიემგზავრებიან. დაგეგმილია პირველი რიგის საპრივატიზაციო ტურისტული ობიექტების პრეზენტაცია, მათ შორისაა სასტუმროები და ტურისტული კომპლექსები. აღნიშნული ობიექტების პრივატიზება უახლოეს დღეებში დაიწყება. პრეზენტაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრებიან. მინეულნი არიან ასევე მსხვილი ბანკები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და ტურისტული კომპანიები. **მედია-ნიუსი**

აჭარის ხიუტები. სავარაუდოდ, 83 მილიონი ლარით განისაზღვრება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წლებანდელი კონსოლიდირებული ბიუჯეტი ახალ პარამეტრებზე იქნება აგებული და, სავარაუდოდ, მთლიანობაში 83 მილიონ ლარს შეადგენს, - აცხადებს ბათუმში ვიზიტით მყოფი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი. მისივე თქმით, ბიუჯეტის ახალ პარამეტრებზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულია და ის აჭარის ფინანსთა მინისტრთან და ავტონომიის მთავრობასთან ერთად გაგრძელდება. კერძოდ, აჭარის წლებანდელ ბიუჯეტში იგეგმება შემოსავლების პარამეტრების შეცვლა. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს და თანხების განაწილებას, ეს უშუალოდ ავტონომიის ხელისუფლებისა და პარლამენტის პერიოგატია იქნება. **მედია-ნიუსი**

ვიზა ყველგან და ყოველთვის

თიბისი ბანკის VISA ბარათები

VISA ელექტრონი VISA ინტერნეტი VISA კლასიკი VISA ბიზნესი VISA გოლდი

- ✓ სახლვარგარეთ მიემგზავრებით?
- ✓ ხარჯების კონტროლი გსურთ?
- ✓ თანხის საიმედოთ შენახვა გინდათ?

და რა თქმა უნდა არ გსურთ ზედმეტი პრობლემები!

მაშინ აირჩიეთ ხარისხიანი და საიმედო თიბისი ბანკის ვიზა პლასტიკური ბარათები

სიასხლე! ვიზა ბარათით შესაძლებელია ინტარნეტის და მოზილური ტელეფონის საშუალებით:

- დენის, წყლის, ტელეფონის, ინტარნეტის და სხვა კომუნალური ხალხაბადახის ხალხაბა
- MAGT GSM / 9090 / და Geocell-ის / ლაი-ლაი, ასტარა / ბარათების შექმნა
- თქვენს ანგარიშზე ნაშთის ხალხაბრება, ბარათის დაბლოკვა და სხვა

მომსახურების სახე	ვიზა ელექტრონი ბარათი	ვიზა ელექტრონი აშშ დოლარით	ვიზა ინტარნეტი აშშ დოლარით	ვიზა ინტარნეტი აშშ დოლარით	ვიზა კლასიკი აშშ დოლარით
• საკომიო სავაჭრო ობიექტებში	0%	0%	0.25%	0.25%	0.25%
• თანხის განაღდება თიბისი ბანკის ბანკომატებში	0.5%	0.5%	0.5%	0.5%	0.5%
• ბარათის ფლოტორ მომსახურება	10 ლარი	10 აშშ დოლარი	15 აშშ დოლარი	30 აშშ დოლარი	
• ბიუჯეტული შენატარი ანგარიშზე და მიზიშული ნაშთი	25 ლარი	20 აშშ დოლარით	20 აშშ დოლარით	100 აშშ დოლარით	

გაყის ფილიალი ვერის ფილიალი მთავრობის ფილიალი ნაძალადევის ფილიალი

პავცაეადის გამზ. 11 მულოშილის გამზ. 18 რუსთაველის გამზ. 1 დავითაის გამზ. 109

ტელ. 22 06 61 ტელ. 22 25 37 ტელ. 92 36 72 ტელ. 69 68 69

ახალი კონსტიტუცია ევროკავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებზე არ აქცევს

ევროკავშირის ერთობლივ კონსტიტუციაზე ხელის მოწერის ცერემონიალი ამა წლის 20 ნოემბერს რომში ჩატარდება. ეს განცხადება იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან პარიზული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ გააკეთა. ცერემონიალი იმავდღა რომში შედგება, სადაც 1957 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას მოწერა ხელი. ევროკავშირის კონსტიტუციის მოდელი პარიზულში 18 ივნისს გამართულ ევროპის ქვეყნების ლიდერთა სამიტზე იქნა მოწონებული. კონსტიტუციის ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მიერ ამ დოკუმენტის რატოფიცირება შემდეგი ორი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს.

არის თუ არა ევროკავშირის ახლად შექმნილი კონსტიტუციის პროექტი ევროპის შეერთებული შტატების შექმნის ერთგვარი გეგმა? ეს კითხვა აწუხებს ბრიტანელი ამომრჩევლების უმრავლესობას, რომლებმაც ევროკავშირის კონსტიტუციის რატოფიცირება უარყოფის საკითხი რეფერენდუმის მეშვეობით უნდა გადაწყვიტონ. ფაქტია, რომ ბრიტანელმა არავითარი სურვილი არ გააჩნიათ, რომ გაერთიანებული სამეფო 25 შტატისაგან შემდგარი ევროპის შეერთებული შტატების (აშშ-ს მსგავსი სრულყოფილი ფედერაციის) შემადგენელ ნაწილად იქცეს.

თუ რეფერენდუმის შედეგები უარყოფითი იქნება, შესაძლოა, ორიდან ერთი რამ მოხდეს. პირველ შემთხვევაში, კონსტიტუცია "შეკვარდოკუმენტად" იქცევა და გაფართოებული ევროპა, დიდი ბრიტანეთის ჩათვლით, "ძველი წესებით" განაგრძობს არსებობას. მეორე შემთხვევაში კი - როგორც ეს ბრიტანელთა უმრავლესობას სურს - ისინი დატოვებენ ევროკავშირს და "ოფორული" შეიცვარიის მსგავს სახელმწიფოდ იქცევიან.

უნდა ითქვას, რომ არც ბრიტანეთის სათვის და არც ევროპისათვის ზემოაღნიშნული ორივე სცენარი სასარგებლო არ იქნება. კონსტიტუციური რეფორმის გარეშე, გაფართოებული ევროკავშირი გარკვეული სტრუქტურული პრობლემების წინაშე დადგება. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, თუ ის ევროკავშირის რიგებს დატოვებს, მაშინ აშშ-სთან სავაჭრო მოლაპარაკებებს, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიადგეს. ამგვარად, ძალზე ბევრია დამოკიდებული პრემიერ-მინისტრ ბლერის უნარზე, დაარწმუნოს თავისი ხალხი იმაში, რომ ევროკავშირის კონსტიტუცია მათ სასარგებლოდ "იმუშავებს" და დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობას არ ხელყოფს.

გარკვეულიწილად, ევროკავშირი უკვე ატარებს და დიდი ხნის მანძილზე ატარებდა ფედერაციულ ხასიათს. ეს საკმარის ნათლად ჩანს სამართლებრივ სფეროში. ჩარჩო კონსტიტუციის მუხლი 1-10 უზრალოდ იმეორებს დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ პრინციპს, რომ ევროკავშირის სამართალი ეროვნულ სამართალზე მაღლა დგას. ამდენად, ევროპის სასამართლო ევროპაში უმაღლესი ინსტანციის სასამართლო უწყებას წარმოადგენს. ამა-სთანავე, ევროკავშირის სხვა მრავალი პოლიტიკური ინსტიტუტებიც გააჩნია, რაც ფედერაციას უნდა ჰქონდეს: არა მარტო უზენაესი სასამართლო, არამედ, როგორც ამას გერმანელები უწოდებენ, ბუნდესრათი (მინისტრთა საბჭო, რომელიც წევრი-ქვეყნების მთავრობებით არის წარმოდგენილი), პარლამენტი, ცენტრალური ბანკი და უცვლელი ბიუროკრატია. კონსტიტუციაში ინსტიტუციური ცვლილებები ნაწილობრივ იმისათვის არის შექმნილი, რომ ამ პროტო-ფედერაციას, სამართლებრივის გარდა, ფაქტობრივი სახეც მიეცეს, რაც შესაძლოა გამოიხატებოდეს, მაგალითად, ევროპის ერთი სავაჭრო საქმეთა მინისტრის პოსტის შექმნით.

თუმცა, უმთავრესი კითხვა გახლავთ, თუ რამდენად გაიზარდება, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ევროკავშირის იურისდიქცია ნევრ-ქვეყნებთან მიმართებაში? უფრო ზუსტად რომ ჩამოვყალიბოთ, რამდენად

შეამცირებს იგი ცალკეული მთავრობების უფლებას, ვეტო დააღონ მინისტრთა საბჭოზე განსახილველ ევროკავშირის კანონპროექტებს? აქამდე, მინისტრთა საბჭოზე განსახილველ საკითხებს შორის, კენჭისყრის დროს, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სფეროები (ევროდ კი, 34) საჭიროება ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, ყველა სხვა დანარჩენ სფეროში საჭირო იყო ერთსულიანობა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი წევრი-სახელმწიფოს ვეტოც კი საკმარისი გახლდათ ათ კანონის დასაბლოკად.

კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი ცვლილება კი გახლავთ ის, რომ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა საჭირო იქნება 70 სფეროში (ორჯერ მეტი), იმიტომაცა და სოციალური პოლიტიკის ჩათვლით. მაგრამ, არსებობს მრავალი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც ევროკავშირის ახალი კონსტიტუცია ევროკავშირის ძალაუფლებას არ გაფართოებს. ტონი ბლერის დაფინგებული მოთხოვნის თანხმად, ეროვნული ვეტოს უფლება შენარჩუნდება სამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროში: სავაჭრო პოლიტიკა, თავდაცვა და საგარეო ურთიერთობების სისტემა.

შეიძლება ითქვას, რომ ახალი კონსტიტუცია იმაზე მეტად რეგულაციურად ჟღერს, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ფაქტობრივად, ის ევროკავშირის ბუნებას მნიშვნელოვნად არ შეცვლის. კონსტიტუცია მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობას მისცემს ევროკავშირს, უფრო მეტი რამ გააკეთოს ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით, ვიდრე ამას აქამდე აკეთებდა. ეს კი არცთუ ისე რადიკალური რეფორმა გახლავთ.

ბრიტანელებმა ასევე უნდა გაიგონ, თუ რა სარგებელი ელოდება მათ ქვეყანას. მნიშვნელოვანი საკითხი, რაც, შესაძლოა, ბევრს გამოიწიოს თვალთახედვიდან, გახლავთ ის, რომ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის სისტემის შეცვლით კონსტიტუცია საკმაოდ დიდ უპირატესობას ანიჭებს დიდ ბრიტანეთსა და "დიდი ოთხეული" სხვა წევრებს (გერმანია, იტალია, საფრანგეთი), რომელთა ერთობლივი ხედვრითი წილი ევროკავშირის მთლიან შიდა პროდუქტში 70 პროცენტს შეადგენს, ხოლო მისახლეობა - 57 პროცენტს.

ძველი სისტემის მიხედვით, დიდ ქვეყნებს უპირატესობა ამკარდა არ გააჩნდათ. მაგალითად, გერმანია, რომლის მოსახლეობის ხვედრითი წილი ევროკავშირში გაფართოების წინ 22 პროცენტს შეადგენდა, მინისტრთა საბჭოზე ხმათა მხოლოდ 11.5 პროცენტს ფლობდა. გერმანიას, წარმომადგენლობითობის დაბალი დონის მიხედვით, დიდი ბრიტანეთის მოხედვით, ამისგან განსხვავებით, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ევროკავშირის წევრების შიგნით ინიციატივის წარმელიც ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას მოითხოვს, ნევრ-სახელმწიფოთა 55 პროცენტის თანხმობით იქნება მიღებული, თუკი მათი მოსახლეობის ხვედრითი წილი 65 პროცენტს შეადგენს. ამდენად, გერმანიას მინისტრთა საბჭოზე მიენიჭება ხმათა 18 პროცენტი, ხოლო დიდ ბრიტანეთს - 13 პროცენტი. ფაქტობრივად, ინიციატივა, რომელსაც დაწარმებს 21 ქვეყანა მხარს დაუჭერს, ჩაერგდება იმ შემთხვევაში, თუ "დიდი ოთხეული" ქვეყნები მას უარყოფენ. მეტიც, გერმანიას და დიდი ბრიტანეთის უარყოფაც კი საკმარისი იქნება, რომ ნებისმიერი სახის ინიციატივის წარმატების შანსი მინიმუმამდე დაეცდეს.

ევროკავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, შესაძლოა, იმდენად მოუქნელი იყოს, რამდენად მიმხილველიც აშშ-ს კონსტიტუცია გახლავთ. თუმცა, სწორედ ამ ფაქტის გამო შეიძლება მოიხონონ ის ბრიტანელმა სკეპტიკოსებმა, რადგან ახალი კონსტიტუცია ევროკავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებზე მეტად აქცევს არ უნდა. რაც შეეხება რეფერენდუმზე კონსტიტუციისთვის ხმის მიცემას, როგორც დიდი ბრიტანეთის პრემიერ ტონი ბლერი აღნიშნავს, ეს ეროვნული ინტერესებისათვის ხმის მიცემა იქნება.



ჟაკ შირაკი, ჯორჯ ბუში, ტონი ბლერი და სილვიო ბერლუსკონი.

ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიოგაზაფხულოვის დაკვეთით აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე:

ფინანსური მენეჯერი	ტექნიკური მენეჯერი
<p>ფუნქციები და მოვალეობები</p> <ul style="list-style-type: none"> ■ ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა. ■ ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის წარმართვა. ■ ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზი. ■ ორგანიზაციის ფინანსური დეპარტამენტის მართვა. 	<p>ტექნიკური მენეჯერი</p> <p>ფუნქციები და მოვალეობები</p> <ul style="list-style-type: none"> ■ ორგანიზაციის ტექნიკური საქმიანობის წარმართვა. ■ საკავალიფიციაციო მოთხოვნები ■ სრული უმაღლესი განათლება მენეჯმენტის სფეროში. (სასურველია ტექნიკური განათლებაც.) ■ შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე) ■ უცხო ენის ცოდნა ■ სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება ■ ორგანიზებულობა ■ გუნდური მუშაობის უნარი ■ მართვის უნარი.
<p>საკავალიფიციაციო მოთხოვნები</p> <ul style="list-style-type: none"> ■ სრული უმაღლესი განათლება ეკონომიკის და მენეჯმენტის სფეროში. ■ ფინანსური დაგეგმვისა და ანალიზის გამოცდილება. ■ უცხო ენის ცოდნა ■ სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება ■ ორგანიზებულობა ■ გუნდური მუშაობის უნარი ■ მართვის უნარი. ■ შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე) 	
<p>მისამართი: მედიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge</p>	

ინსტრუმენტალისტი ტექნიკოსი

ბ. ექსპლორეიმნ კასპიან სი ლტდ-ჯორჯია სამუშაოდ იწვევს შესაფერის პირებს ინსტრუმენტალისტი ტექნიკოსის თანამდებობაზე, სუფსის ტერმინალზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები	ფის მიზნით.
<p>ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგეთ:</p> <p>პასუხისმგებლობა სუფსის ტერმინალის შემობა-ნაგებობებსა და საშუალებებთან დაკავშირებული ყველა ინსტრუმენტალისტიკის ჯგუფთან გეგმიურ და არაგეგმიურ მომსახურებასა და ზუსტი ანგარიშების შედგენაზე. ელექტრო მოწყობილობების მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს ჩატარების უზრუნველყოფა კომპანიის ჯვანდაცვის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის(HSE) მოქმედი წესების, ჯვანდაცვის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პრინციპების მართებული გააზრების(GHSER) დებულებების, ბპ-ის ტექნიკური უსაფრთხოების პრინციპების, აზერბაიჯანის ბიზნეს ერთეულის სამუშაოების უსაფრთხო და წარმოების სისტემით და გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ აქტიური მონაწილეობა პრობლემების გადაწყვეტის საქმეში და მზადყოფნა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად. ■ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ქონა აუცილებელია ობიექტზე მომუშავე ყველა პერსონალთან ურთიერთობის მიზნით. ■ გუნდური მუშაობის კარგი უნარი ■ აქტიური როლის შესრულება მილსადენის/ნაგებობების ურდვევობისა და ერთიანობის მართვაში. ■ დროისა და სამუშაოს რაციონალურად დაგეგმვისა და განაწილების შესაძლებლობების დემონსტრირება.
